გააფერადე შენი ქვეყნის ბუნება

ČENN

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

წინამდებარე საბავშვო გასაფერადებელი განკუთვნილია გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისათვის. მასში წარმოდგენილია საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნება – დალაგებული ქართული ანბანის მიხედვით. გასაფერადებელი ბავშვებს დაეხმარება გარემოს უკეთ შეცნობაში.

გასაფერადებელი მომზადდა პროექტის – ტყის მდგრადი მართვა საქართველოში ფარგლებში, ***ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (Austrian Development Cooperation) ფინანსური*** მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია პროექტის განმახორციელებელი და, შესაძლებელია, არ გამოხატავდეს ADC-ის მოსაზრებებსა და შეხედულებებს.

გააფერადე შენი ქვეყნის ბუნება © CENN

მხატვარი: მიხეილ კასრაძე

ფოტოების მოწოდებისათვის CENN მადლობას უხდის გიორგი იანქოშვილს, სოფო კიკნაველიძეს, ლევან ქობალიას, მიხეილ კასრაძეს, ირაკლი შავგულიძეს, ნიკა პაპოშვილსა და ნიკა ქერდიყოშვილს.

ა

ალკუნი

ალკუნი ზომით ბეღურაზე ოდნავ დიდი ფრინველია, გრძელი ნისკარტითა და მოკლე კუდით.
სხეული ხასხასა შეფერილობის ბუმბულით აქვს დაფარული; თავი, ზურგი, ფრთები და კუდი მოლურჯო-მოცისფროა, გულმკერდი – ჩალისფერი.
ბინადრობს მდინარეებისა და ნაკადულების ნაპირებზე. იკვებება პატარა თევზებით.
ბუდობის დროს მდინარის ნაპირზე თხრის სოროს. სოროში დედალი ალ-კუნი დებს კვერცხებს, საიდანაც პატარა ბარტყები იჩეკებიან.
ალკუნი მობინადრე ფრინველია, ანუ მთელი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილზე იმყოფება და თავის საცხოვრებელ ადგილს დიდ მან-ძილზე არ სცილდება.



ბ

ბაყაყი

ტბორის ბაყაყი საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება და ჩვენში არსებულ ბაყაყებს შორის ყველაზე დიდი ზომისაა. სხეულის შეფერილობა, ძირითადად, მუქი მწვანეა, მაგრამ შეიძლება იცვლებოდეს მუქი მწვანიდან ყავისფრამდე, ღია მწვანე ან ყავისფერი ხალებითა და ღია ფერის ზოლით ზურგზე. ბაყაყი ხმელეთის ცხოველია, მაგრამ წყლის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, ამიტომ სიცოცხლეს წყალში ან წყლის მახლობლად ატარებს – დაწყებული პატარა გუბეებიდან, გუბურებიდან და ტბორებიდან დიდი ტბებით, წყალსატევებითა და მდინარეებით დამთავრებული. წყალშივე იჩეკებიან და იზრდებიან თავკომბალები (ახალდაბადებული ბაყაყები), რომლებიც შემდეგ ბაყაყებად გარდაიქმნებიან. ზაფხულის თბილ და მზიან ამინდში ხშირად ნახავთ ნაპირზე ან წყალში მცურავ რომელიმე საგანზე მთვლემარე ბაყაყებს, საღამოს კი გუბურის ნაპირთან მცენარეულობაში ჩამალულები „კონცერტს“ მართავენ. ტბორის ბაყაყი იკვებება, უმთავრესად, მწერებით: ნემსიყლაპიებით, ბუზებითა და კოღოებით, ობობებითა და ჭიაყელებით. ბაყაყი კარგად დახტის, რაც საკვების მოპოვებაში ეხმარება. იგი ზამთარს წყალსატევების ფსკერზე ძილქუშში ატარებს.

ბ

გედი

გედი ბატზე დიდი ფრინველია. სხეულიც შინაური ბატივით თეთრი ბუმბულით აქვს დაფარული. ბინადრობს მტკნარ და მარილიან წყალსატევებში, ძალიან კარგად ცურავს, რაშიც ფეხის თითებს შორის არსებული აპკი ეხმარება. ხმელეთზე კი, სწორედ ასეთი ფეხების გამო, მოუხერხებლად გადაადგილდება. იკვებება წყლის მცენარეებითა და მათი ფესვებით, ასევე – მცირე ზომის მწერებით, ხვლიკებით, ბაყაყებითა და თევზებით. ბუდეს აშენებს წყლის ნაპირთან ახლოს, შემაღლებულ ადგილზე მცენარეთა ტოტებისგან. გედი გადამფრენი ფრინველია, ანუ ზამთარს თბილ ქვეყნებში ატარებს, ზაფხულში კი მშობლიურ ადგილებს უბრუნდება. საქართველოში ბინადრობს ორი სახეობის გედი – სისინა, ანუ წითელნისკარტა გედი, და მყივანი, ანუ ყვითელნისკარტა გედი. ისინი განსხვავდებიან ნისკარტის შეფერილობით, კისრის ფორმითა და ხმოვანებით.



დ

დათვი

მურა დათვი საქართველოში ბინადარი ყველაზე მსხვილი მტაცებელია. სხეული დაფარული აქვს ბეწვით. ბეწვის ფერი ცვალებადობს ღია ჩალისფერიდან მუქ წაბლისფრამდე. აქვს პატარა, მრგვალი ყურები და შავი ფერის დრუნჩი. კიდურები მოკლე აქვს და ძლიერი, რომლებიც გრძელი, ბასრი ბრჭყალებით ბოლოვდება. დადის ბაჯბაჯით, თუმცა საფრთხის შემთხვევაში შეუძლია, სწრაფად გაიქცეს და თავს უშველოს. ძლიერი კიდურები ეხმარება ცხოველს, დიდი მანძილები გაიაროს საკვების ძიებაში, ბრჭყალები ეხმარება ბუნაგის თხრაში, ხეზე ცოცვაში, საკვების მოპოვებასა და თავდაცვაში. აქვს შესანიშნავი ყნოსვა და სმენა. გონიერი, მოქნილი და სწრაფი ცხოველია. დათვი მტაცებელია, თუმცა მის რაციონში ყველა სხვა მტაცებელზე ნაკლებად არის წარმოდგენილი ხორცი. იკვებება, ძირითადად, მცენარეებით – ხილით, კენკრით, ბოლქვებით, სოკოებით, თხილითა და რკოთი. ამას ემატება მწერები და თაფლი. ჭამს აგრეთვე პატარა ძუძუმწოვრებს, რეპტილიებს, ჭიანჭველის ჭუპრებს. დათვი ძუძუმწოვარი ცხოველია, ეს ნიშნავს, რომ თავის ნაშიერებს – ბელებს – კვებავს რძით, ისევე, როგორც ადამიანი. დათვზე გადამეტებული ნადირობისა და ტყეების გაჩეხის გამო მისი რაოდენობა შემცირდა და ამიტომ დათვი შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.

ე

ენოტი

ენოტი მცირე ზომის ძუძუმწოვარი ცხოველია. ყველაზე თვალში საცემი მის გარეგნობაში არის შავი ნიღაბი თვალების გარშემო და ჯაგარივით გაბურძგნილი კუდი ათამდე შავი ზოლით. მისი წინა თათები ძალიან ჰგავს ადამიანის ხელს და ისევე მოხერხებულად იყენებს მათ, როგორც ადამიანი. ენოტს ხუთი თითი აქვს როგორც წინა, ისე უკანა კიდურებზე. ბეწვის შეფერილობა იცვლება რუხიდან მოწითალო ყავისფრამდე. ბინადრობს წყლის ახლოს სრულიად განსხვავებულ ადგილებში, ხშირად ცხოვრობს ადამიანის სამოსახლოსთან. ღამის ცხოველია. კვების ტიპის მიხედვით ნაირმჭამელია, იკვებება როგორც მცენარეებით (თხილი, ხილის ნაყოფი, მარცვლეული და სხვ.), ისე ცხოველური საკვებით (მწერებით, მღრღნელებით, ბაყაყებით, თევზებითა და ფრინველების კვერცხებით). ნაშიერების დაბადებისას ან ზამთრის ძილისთვის ბუნაგს ხის ფუღუროში იწყობს. ძალიან ცნობისმოყვარე და გონიერია. ენოტს ერთი საინტერესო თვისება აქვს – ჭამის წინ საკვებს წყალში ავლებს და თითქოს რეცხავს თავისი მოქნილი წინა კიდურებით. მისი ლათინური სახელიც „რეცხვას“ ნიშნავს.

საქართველოში ენოტი არ ცხოვრობდა, ჩვენთან მე-20 საუკუნეში შემოვიდა აზერბაიჯანიდან, ამიტომ მასზე ამბობენ, რომ ენოტი ინვაზიური, ანუ შემოჭრილი (შემოსული), სახეობაა.

3

ვარხვი

ვარხვი დიდი ზომის ფრინველია. ბუმბულის შეფერილობა თეთრი ან მოვარდისფრო თეთრია. ფრთების შლილით მხოლოდ ალბატროსს ჩამორჩება. ბინადრობს ტბებსა და მდინარეების შესართავებში.

კარგად ცურავს, რაშიც მასაც, ისე, როგორც გედსა და სხვა წყლის ფრინველებს, აპკიანი ფეხები ეხმარება. ასეთი ფეხები წყალში ისევე მუშაობს, როგორც საცურაო ლასტები.

ვარხვი იკვებება მხოლოდ თევზით, რომელსაც თავისი გრძელი, „ჩანთიანი“ ნისკარტით იჭერს. თევზი პირიდან რომ არ გაუსხლტეს, „ჩანთაში“ აგდებს და შემდეგ მშვიდად მიირთმევს. „ჩანთა“ შეიძლება იყოს ყვითელი ან ნარინჯისფერი.

ნისკარტის სიგრძით ვარხვს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ფრინველებს შორის.

ვარხვი გადამფრენი ფრინველია, ისევე, როგორც გედი.

საქართველოში გვხვდება ორი სახეობის ვარხვი – ქოჩორა (ხუჭუჭა) და ვარდისფერი.



8

ზუთხი

ზუთხი თევზია. სხეული წაგრძელებული ფორმის აქვს , რომელიც ბოლოვდება ძლიერი და კარგად განვითარებული კუდით. მას საინტერესო ქცევა ახასიათებს: იგი ბინადრობს ზღვაში, მაგრამ გამრავლების პერიოდში ქვირითის დასადებად, ანუ ტოფობისას, მდინარის სათავისკენ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, იქ ყრის ქვირითს და თვითონ უკან, ზღვაში, ბრუნდება. ქვირითიდან გამოჩეკილი ლიფსიტები (ლიფსიტა ეწოდება ახალდაბადებულ თევზს) მდინარის დინებას ისევ ზღვაში მიჰყვებიან.
საქართველოში ზუთხის რამდენიმე სახეობაა, რომლებიც შავ ზღვაში ბინადრობენ, ტოფობისას კი მდინარე რიონის სათავისკენ მიცურავენ.
ზუთხი იკვებება უხერხემლოებითა და წვრილი თევზებით.
დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში გადაჭარბებული თევზჭერის გამო ზუთხის რაოდენობა უკიდურესად შემცირებულია და მისი ყველა სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი.



თ

თოლია

თოლია სხეულის სიდიდით ყვავის ზომისაა. ბუმბულის საერთო შეფერილობა თეთრია, თავი მუქად აქვს შეფერილი – შავი ან რუხია, ნისკარტი და აპკიანი ფეხები – მოწითალო. მისი საბინადრო გარემო წყალია – მდინარეები, ტბები და ზღვის ნაპირები. კვების ტიპით ხორცის მჭამელია და იკვებება თევზით. თევზზე ნადირობისას თოლია მსხვერპლს სიმაღლიდან უთვალთვალებს, შემდეგ თავს ესხმის და ნისკარტით იტაცებს. თოლიას სხვადასხვა სახეობა ბუდეს განსხვავებულ ადგილას იკეთებს – მიწაზე ან კლდეზე. ზოგიერთი სახეობა გადამფრენია, ზოგიერთი კი – მობინადრე და ჩვენთან იზამთრებს.
საქართველოში გვხვდება თოლიას რამდენიმე სახეობა – ტბის, ზღვის, ვეჟანი, ვერცხლისფერი და ა.შ.



ირემი

კეთილშობილი ირემი დიდი ზომის ცხოველია, აქვს გრძელი და წვრილი ფეხები, მოკლე კუდი, დიდი და ოვალური ყურები. სხეული დაფარულია მოკლე ბეწვით (ბალნით), რომლის ფერი სეზონის მიხედვით იცვლება – ზამთარში მუქდება და არის რუხი, ხოლო გაზაფხულზე – მოწითალო ყავისფერი. ირმის ნაშიერს ჰქვია ნუკრი. ზრდასრული ინდივიდებისგან განსხვავებით, ნუკრს კოპლებიანი ქათიბი აქვს.

ირმის მამრი და მდედრი ინდივიდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ზომით – მამრი უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე მდედრი, მამრებს (ხარირემი) აქვთ რქები, ხოლო მდედრებს (ფურირემი) – არა. კეთილშობილ ირემს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ქორბუდა ირემს უწოდებენ. ირემი რქებს ყოველ წელს გაზაფხულზე იცვლის და შემოდგომაზე უკვე ახალი რქებით იწონებს თავს.

ირმის საკვები და კვებითი ქცევა იცვლება სეზონების მიხედვით. გაზაფხულზე ნეკერია მისი საზრდო, ზაფხულში – ბალახს სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, ზამთარში კი ტყის ზონაში ეშვება და თოვლის საფრის ქვეშ დამალული ბალახით, მაყვლის ფოთლებით, წიწვებითა და ახალგაზრდა ფოთლოვანი ხეების (მაგ., მუხა, იფანი) ქერქით იკვებება.

კეთილშობილი ირემი წარსულში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. უკონტროლო ნადირობისა და ტყის ჩეხვის გამო ირმის პოპულაცია ისე შემცირდა, რომ კეთილშობილი ირემი შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR).



3

კაკაბი

კაკაბი ზომით შეიძლება პატარა ქათამს შევადაროთ. ფრინველს ზურგსა და მკერდზე მოვარდისფრო ნაცრისფერი ბუმბული აქვს. შუბლიდან თვალებისკენ მიემართება და ყელზე იკვრება შავად შეფერილი ბუმბულების ზოლი. შავი ხაზები გასდევს გვერდებზეც. ნისკარტი, ფეხები და არშია თვალის გარშემო წითელია.

ბინადრობს როგორც მთაში, ისე ბარში. საცხოვრებლად ირჩევს მშრალი, მეჩხერი ბუჩქნარით დაფარულ გორაკებს, ღვიისა და საღსაღაჯის ნათელ ტყეებს. კაკაბი იკვებება მცენარეების თესლებით, ყლორტებითა და მწერებით. ბუდეს მიწაზე იშენებს ბალახებისა და ბუმბულისგან. ბარტყებს ფრენა გამოჩეკიდან სულ რამდენიმე კვირის შემდეგ შეუძლიათ. კაკაბი ბუნებრივ გარემოში კარგად იმალება და ძნელი შესამჩნევია. იგი მობინადრე ფრინველია, ისევე, როგორც ალკუნი.

ლეოპარდი, ანუ ჯიქი

ჯიქი ერთ-ერთი ძალიან ლამაზი, მოქნილი და ძლიერი მტაცებელია. ლომსა და ვეფხვთან ერთად შედის კატისებრთა ოჯახში, თუმცა ზომით მათზე პატარაა. აქვს გრძელი სხეული, მოკლე კიდურები და გრძელი კუდი, მასიური თავი და ძლიერი ყბები. სხეული დაფარული აქვს მოყვითალო–მონარინჯისფრო ბეწვით, რომელიც დაფარულია შავი ფერის როზეტებით, რაც განასხვავებს ჯიქს კატისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლებისგან. ადვილად ადაპტირდება ხმელეთის სხვადასხვა ადგილას – ბინადრობს ტყეებსა და გაშლილ ველებზე, მთიან და უდაბნო ადგილებში. გეოგრაფიული გავრცელების არეალში უპირატესობას ანიჭებს ხეებიან ადგილებს. სწრაფად დარბის და კარგად ადის ხეზე, საკვებიც ხეზე ააქვს და იქ ჭამს. იკვებება ნანადირევით – საშუალო ზომის ძუძუმწოვრებით, ქვეწარმავლებითა და ფრინველებით, უარს არ ამბობს ლეშზეც.

საქართველოში ჯიქი გადაშენებულად ითვლებოდა 2003 წლამდე, მანამდე, ვიდრე ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ფოტოხაფანგი მამრ ჯიქს დააფიქსირებდა. მას შემდეგ ეს ინდივიდი, რომელსაც ნოე დაარქვეს, კიდევ რამდენჯერმე მოხვდა ფოტოკამერის ობიექტივში. ჯიქი შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში და დაცვის ქვეშ იმყოფება.



მ

მიმინო

მიმინო მტრედზე ოდნავ პატარა ზომის მტაცებელი ფრინველია. დედალი მიმინო ზომით მამალზე დიდია, რაც დამახასიათებელია მტაცებელი ფრინველებისთვის. ლივლივით ფრენის დროს ყურადღებას იპყრობს მომრგვალებული ფრთები და გრძელი, სწორი, ბოლოში წაკვეთილი კუდი. ზურგის ნაწილი მოლურჯოა, გულმკერდი – თეთრი, სტაფილოსფერი განივი ზოლებით. თვალები ყვითელი აქვს. სხვა მტაცებელი ფრინველების მსგავსად, მიმინოს ძალიან კარგი მხედველობა აქვს და შორი მანძილიდან შეუძლია, შეამჩნიოს მსხვერპლი. მახვილი თვალი, მოკაუჭებული, ბასრი ნისკარტი და სწრაფი მანევრირება ეხმარება მტაცებელ ფრინველს ნადირობაში. მიმინო ბინადრობს სხვადასხვა ტიპის ტყიან ადგილებში. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება. იკვებება მცირე ზომის ძუძუმწოვრებით, ფრინველებით, ქვეწარმავლებითა და ამფიბიებით, იშვიათად – მწერებით. ბუდეს ხეზე იკეთებს. მიმინო მობინადრე ფრინველია.

ნ

ნემსიყლაპია

დიდი და მწვანე თვალები, ოთხი გამჭვირვალე და ვიწრო ფრთა, გრძელი და წვრილი, შავად შეფერილი სხეული მკვეთრი ყვითელი ზოლებით – ეს არის კავკასიური მზიმთა, და ის ერთ-ერთია საქართველოში გავრცელებული ნემსიყლაპიების 65-მდე სახეობიდან. ნემსიყლაპია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი მწერია. ცივ ამინდში უყვარს მზის აბაზანები, ამიტომ ხშირად შეამჩნევთ მას მცენარეზე ან ქვაზე მჯდომს, გაშლილი ფრთებით. ამ დროს ის არა მარტო ისვენებს, არამედ ითბობს ფრთებს და იღებს ენერგიას. კავკასიური მზიმთა ბინადრობს მთის მდინარეებთან ახლოს. ზოგადად, ყველა ნემსიყლაპია წყალთან ახლოს ბინადრობს, რადგან გამრავლებისას კვერცხებს წყალში, წყლის მცენარეებზე ან წყლის პირას დებენ. ნემსიყლაპია მტაცებელი მწერია. იკვებება მცირე მწერებით – ბუზებით, კოღოებით და სხვ. მსხვერპლს ჰაერში იჭერს. მტაცებელია კვერცხიდან გამოჩეკილი ახალგაზრდა ნემსიყლაპიას ლარვაც (მუხლუხო). ლარვად ყოფნის პერიოდი შეიძლება ორიდან ექვს წლამდე გაგრძელდეს. ამ ხნის განმავლობაში ლარვა დაახლოებით 15 – ჯერ იცვლის კანს, სანამ ზრდასრულ ნემსიყლაპიად გადაიქცევა. კავკასიური მზიმთა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.



ო

ოფოფი

ოფოფი ზომით მტრედზე ოდნავ პატარაა. ადვილად გამოსაცნობია მარაოსებური ქოჩრითა და წვრილი, გრძელი, მოხრილი ნისკარტით. ქოჩორი უმეტესად დაკეცილი აქვს. ბუმბულის შეფერილობა მოჟანგისფროა, ფრთებსა და კუდზე შავ-თეთრი ზოლებით. ბინადრობს ველებსა და ნახევარუდაბნოში, სადაც იკვებება ხოჭოებით, პეპლებით, კალიებით, კუტკალიებითა და სხვა მწერებით. საკვებს პოულობს ნიადაგში, გვხვდება ადამიანის საცხოვრებელთან ახლოსაც. ბუდის ასაშენებლად კი ოფოფს ესაჭიროება ფუღუროიანი ხე, ნაპრალიანი კლდე, მიტოვებული ბუდე ან სორო, თივის ზვინი. გამრავლების პერიოდში მამრი გამოსცემს დამახასიათებელ ხმას – „უფ-უფ-უფ“, ადვილი მისახვედრია, რომ ფრინველს სახელიც ამის გამო დაერქვა.

ოფოფი გადამფრენი ფრინველია.

ჯ

ჟერო

ჟერო ბატის ზომის ფრინველია. სხეულის ბუმბული თეთრი ფერისაა, თავზე მოყვითალო ქოჩრით. მას აქვს გრძელი, ბრტყელი და ბოლოში ნიჩბისებურად გაფართოებული ნისკარტი. ნისკარტის გაფართოებული ნაწილი ყვითელი ფერისაა. ფეხები და კისერი გრძელი აქვს. ბინადრობს ველისა და უდაბნოს წყალსატევებთან. მის საკვებს წარმოადგენენ წყალში მცხოვრები მწერები, უხერხემლოები, პატარა თევზები, ბაყაყები და თავკომბალები. ბუდეს იშენებს მიწაზე ტოტებისა და წყლის ბალახებისგან ან ტბებსა და მდინარეებთან ახლოს მდგარ ხეებზე. ჟერო გადამფრენი ფრინველია.



ბ

როჭო

კავკასიური როჭო ზომით ქათამზე ოდნავ მცირე ფრინველია.
მამალი როჭო შავი შეფერილობისაა, წარბებზე კანი შიშველია და წითელი. დედალი კი მოჩალისფროა და ყავისფრად დაწინწკლული. ბინადრობს, ძირითადად, სუბალპურ, მაღალბალახოვან მდელოებზე, დეკიანებსა და მეჩხერ არყნარებში. იკვებება მცენარეთა თესლებით, ნაყოფებით, კვირტებით, მწვრებით, ობობებითა და მოლუსკებით. დეკიანში მიწის პატარა ჩაღრმავებებში აკეთებს ბუდეს. როჭო ფრენისას ფრთებით გამოსცემს ერთგვარ სტვენისებურ ხმას, ისე, ძირითადად დუმს. იშვიათი მობინადრე ფრინველია, მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია და ამიტომ კავკასიური როჭო შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.



ს

სალამანდრა

სალამანდრა ამფიბიაა, ისე, როგორც ბაყაყი, მაგრამ, მისგან განსხვავებით, აქვს კუდი და ძალიან წააგავს ხვლიკს. სალამანდრა ძალიან ლამაზია – შავ სხეულზე ნარინჯისფერ – ყვითელი ლაქებით. კავკასიური სალამანდრა ბინადრობს მთისა და ტყის სარტყლების ჩქარი მდინარეების ნაპირებზე. აქვს მალული ცხოვრების ნირი, აქტიურია ღამით. იკვებება მიწასა და თხელ წყალში მცხოვრები უხერხემლოებით, განსაკუთრებით – უნიჟარო მოლუსკებით. მრავლდება გაზაფხულზე. ქვირითს ბაყაყივით წყალში დებს. სალამანდრა კავკასიის ენდემია, ანუ მხოლოდ კავკასიაში გვხვდება. სალამანდრის რაოდენობა ძალიან შემცირებულია და დაცვას საჭიროებს. კავკასიური სალამანდრა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.



ტ

ტურა

ტურა მტაცებელი ცხოველია. ზომით მგელზე პატარაა. სხეული ბეწვით აქვს დაფარული, რომლის ფერი იცვლება სეზონის მიხედვით – ზამთრობით ჩალისფრადაა შეფერილი, ხოლო ზაფხულში – მოწითალო შავად. კუდის სიგრძე დაახლოებით სხეულის სიგრძის მესამედია. საბინადროდ უპირატესობას ანიჭებს გაშლილ, მშრალ ადგილებს. იკვებება მცირე ძუძუმწოვრებით, ქვეწარმავლებით, ფრინველებითა და მათი კვერცხებით, მწერებითა და ლეშით. რაციონის ძირითადი ნაწილი მოდის მღრღნელებზე და ამით არეგულირებს მათ რაოდენობას ბუნებაში. მამრი და მდედრი ტურები ქმნიან წყვილებს და ერთად რჩებიან მთელი ცხოვრების განმავლობაში. ლეკვებს ბადებენ სოროში და ერთად ზრუნავენ მათზე. საქართველოში ტურა გვხვდება თითქმის ყველგან – ძირითადად, ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლემდე.



უ

უფეხურა

უფეხურა ღამისა და ბინდის ფრინველია. ზომით – შაშვისხელა. ზურგის მხარეს ბუმბული მონაცრისფრო-მურა ფერისაა, მუქი წინწკლებითა და ლაქებით. მუცლის მხარეს მოწაბლისფრო ბუმბული აქვს. ყურადღებას იქცევს პატარა, შავი ნისკარტი და ფართო პირი. ფრინველს მოკლე და სუსტი ფეხები აქვს, ამიტომაც დაერქვა უფეხურა. საქართველოში ყველგან გვხვდება აპრილის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის დასაწყისამდე. იკვებება დიდი ზომის ღამის პეპლებითა და ხოჭოებით, რომელთაც იჭერს ფრენის დროს. ბუდობის პერიოდში ბინადრობს ნაირგვარი ტიპის ტყეებში, ბუჩქნარებში, ბაღებში, ბუჩქნარიან და მეჩხერტყიან ნაკვეთებზე. ბუდეს იკეთებს მიწაზე ყოველგვარი ამონაფენის გარეშე. უფეხურა გადამფრენი ფრინველია.



03

ფოცხვერი

ევრაზიული ფოცხვერი კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელია და გარეგნულად კატას წააგავს. აქვს ძლიერი, გრძელი ფეხები, ფართო, ბეწვიანი თათები და მოკლე კუდი, ფოცხვერი ადვილად გამოირჩევა ყურებზე არსებული ე.წ. „ფუნჯებით“ (ყურის წვერზე არსებული თმის კონა). ღამის ცხოველია. ბეწვის შეფერილობა იცვლება მონაცრისფრო ჩალისფერიდან მოყვითალომდე მუქი ფერის ხალებით. ბინადრობს როგორც ხშირტყიან, ასევე მეჩხერტყიან ღია ადგილებში. კვების ტიპის მიხედვით მტაცებელია, ისევე, როგორც სხვა კატისებრი ცხოველები. იკვებება საშუალო და მცირე ზომის ძუძუმწოვრებით, ფრინველებითა და სხვა ცხოველებით.
შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.

ქ

ქურციკი

სპარსული ქურციკი, ანუ ჯეირანი, მოხდენილი, მომცრო ზომის ჩლიქოსანი ცხოველია, წვრილი და მაღალი ფეხებით. რქები მხოლოდ მამრებს ამშვენებთ, ცხოვრობენ ჯგუფურად – ზაფხულობით გაერთიანებული არიან ოჯახურ ჯგუფებად, სადაც 10-15 ინდივიდია გაერთიანებული, ხოლო ზამთარში ქმნიან ასეულობით ინდივიდისგან შემდგარ დიდ ფარებს. გაზაფხულზე მდედრები ბადებენ ნაშიერებს (ლიკლიკა, ანუ თიკანი). ახალდაბადებული ლიკლიკა დაბადებიდან 3 საათში ფეხზე დგება და ძუძუს ძებნას იწყებს. გარდა ფეხზე წამოდგომისა, პატარამ დაბადებიდანვე იცის, რომ საშიშროების შემთხვევაში ბალახში უნდა ჩაწვეს და გაინაბოს, რომ მტაცებელმა ვერ დაინახოს.

ქურციკი, ძირითადად, ბალახეულობით იკვებება. ლიტერატურული წყაროების თანახმად, გასული საუკუნის დასაწყისში ქურციკი გავრცელებული იყო თბილისიდან ბაქომდე მდებარე სტეპებსა და არიდული (უდაბნო) ველებზე. ადამიანის საქმიანობის შედეგად შემცირდა ქურციკის საკვები ბაზა, ამას დაემატა ბრაკონიერობა, რის გამოც ცხოველთა რაოდენობა შემცირდა და ბოლოს გადაშენდა. ახლა ქურციკი საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. უკანასკნელ პერიოდში დაიწყო ქურციკის, როგორც სახეობის, აღდგენის პროექტი და დღეისათვის ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე არსებობს ქურციკების მცირე ჯგუფი. იმედია, რომ მალე ქურციკების დიდი ჯგუფები ინავარდებენ ჩვენი ქვეყნის ველებზე.



ღ

ღაჟო ჩვეულებრივი

ღაჟო ბეღურაზე ცოტა დიდი ფრინველია. მამალი ღაჟოს სხეულს ზურგის მხრიდან მოცისფრო-რუხი ბუმბული უფარავს, მუცელს კი – მოვარდისფრო – მოყავისფრო. ფრთები მოჟანგისფრო აქვს და თავის ორივე მხარეს თვალებთან შავი ზოლი გასდევს. დედალი ღაჟო კი მოწითურო-ყავისფერია. ბინადრობს ბუჩქიან მინდვრებსა და მდელოებზე, ტყისპირებში, ბაღებსა და პარკებში, ქვაღორღიან ფერდობებზე. იკვებება მწერებით, ასევე – მცირე ზომის ფრინველებითა და თაგვებით. ბუდობს ტყის ზონაში. ბუდეს იკეთებს ბუჩქებზე. საქართველოში გვხვდება ღაჟოს რამდენიმე სახეობა. ღაჟო გადამფრენი ფრინველია.

ყ

ყანჩა

ყანჩა ჭაობის ფრინველია, აქვს გრძელი კისერი და წვრილი, გრძელი ფეხები, რაც ჭაობში გადაადგილების საშუალებას აძლევს. ყანჩის შეფერილობა მის სახეობაზეა დამოკიდებული და ცვალებადობს თეთრიდან მოყავისფრო-რუხამდე. საქართველოში 9 სახეობის ყანჩას ვხვდებით. ისინი, ძირითადად, წვრილი თევზებით, ბაყაყებით, ქვეწარმავლებით, მოლუსკებით, მწერებითა და მღრღნელებით იკვებებიან. ყანჩას საბინადრო გარემო ველისა და ნახევარუდაბნოების ზონის მდგარი წყალსატევები, მთის ტბები, მდინარეებისა და ტბების ნაპირები, დაჭაობებული ვაკეები და კულტურული ლანდშაფტის დაბლობებია. ზოგიერთი სახეობა ბუდეს ხეზე იკეთებს, ზოგი – კორდზე, მცენარეულობას შორის ან ლერწმის ნაწოლ უბნებში. ყანჩა გადამფრენი ფრინველია, თუმცა ზოგიერთი სახეობა საქართველოში მობუდარია.

შ

შავი შაშვი

შავი შაშვი ფართოდ გავრცელებული ფრინველია. მას ყველგან შეხვდებით, განსაკუთრებით – ადამიანებით დასახლებულ ადგილებში. თუ მოინდომებთ, თქვენს სახლთანაც შეამჩნევთ ბუჩქებში მოხტუნავეს. შაშვი ცნობილია გალობით. მისი სიმღერა მელოდიური, სალამურისებური სტვენაა. ტოტზე მჯდომი მთელი დღის განმავლობაში გალობს, მამალი და დედალი შაშვები განსხვავდებიან შეფერილობით – მამალი მთლიანად შავად არის შებუმბლული და ყვითელი ნისკარტი აქვს, დედალი კი მოჩალისფრო-ყავისფერია. ბინადრობს ტყეებში, ბუჩქნარში, ჭალებსა და ანთროპომორფულ ლანდშაფტში. იკვებება მწერებით, ჭიაყელებითა და კენკროვნებით. ბუდეს აგებს ხეებზე ან ბუჩქებში. საქართველოში მობინადრეა. შავი შაშვის გარდა, ჩვენს ქვეყანაში კიდევ ხუთი სახეობის შაშვი გვხვდება.

ჩ

ჩხიკვი

ჩხიკვი მოძრავი და ხმაურიანი ფრინველია მკვეთრი შეფერილობით. სხეული მოწითურო-რუხი ბუმბულით აქვს დაფარული, ფრთებისა და კუდის ბუმბული შავია. ფრთაზე აქვს თეთრი ზოლი. ყველაზე მეტად თვალში საცემია ცისფერი ბუმბული, რომლითაც დაფარულია ფრთები და შავ-თეთრად არის დახაზული. თავს შავი ქოჩორი უმშვენებს. ჩხიკვები ბინადრობენ სხვადასხვა ტიპის ჭალებში, ტყეებსა და ბაღებში, სადაც კარგად ისმის მათი ჩხავილი. მამალი ჩხიკვები ხშირად ბაძავენ სხვა ფრინველების ხმებს. იკვებება მცენარეებითა და მწერებით. ბუდეს ხეზე იკეთებენ. ჩხიკვი მობინადრე ფრინველია.

ციყვი

ციყვი

კავკასიური ციყვი პატარა ცხოველია გრძელი და ფუმფულა კუდით. კუდს ხის ტოტებს შორის ხტომაში საჭესავით ხმარობს. ხეზე ცოცვაში კი გრძელ-ბრჭყალიანი კიდურები ეხმარება. ბეწვის შეფერილობა მოწითალო-რუხია და იცვლება სეზონის მიხედვით. ბინადრობს მთის ფოთლოვან ტყეებში. საქართველოში მობინადრე ევროპული წითელი ციყვისგან განსხვავებით, კავკასიური არ გვხვდება წიწვოვან ტყეებსა და პარკებში. ბუდეს იკეთებს ხის ფუღუროში. ხეებზევე პოულობს საკვებს. კაკალი, თხილი, წაბლი, რკო, წიწიბო, წიწვიანების თესლი, კენკრა ნაყოფები და სოკოები, პანტა და სხვა – მისი საყვარელი საკვებია. ადვილად ამტვრევს კაკალსა და თხილს, რაშიც ზედა და ქვედა ყბებზე არსებული თითო წყვილი მჭრელი, სატეხისებური კბილები ეხმარება. ზამთრისთვის ხის ფუღუროში 1-3 კგ-მდე თხილსა და კაკალს იმარაგებს. ზამთარში არ იძინებს, მაგრამ ბუდიდან იშვიათად გამოდის.
კავკასიური ციყვი საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი.

d

ძერა

ძერა მტაცებელი ფრინველია, ზომით ყვავზე რამდენადმე დიდია. შეფერილობით მუქია – მოწითურო-მურა, უფრო ღია რუხი ფერის თავით. აქვს განიერი და გრძელი ფრთები, კუდი ამოკვეთილია, რითიც ყველა სხვა მტაცებელი ფრინველისგან გამოირჩევა. საბინადროდ ირჩევს ტყეებსა და ჭალებს დიდი მდინარეების პირას, მთების ტყიან ზონას, ზამთრობს აგროლანდშაფტებში. ბუდეს იკეთებს ხეზე, იშვიათად–კლდეზე, ფიჩხის, ბალახისგან და ფოთლებისგან. ბუდის დიამეტრი შეიძლება 1 მეტრამდე აღწევდეს. იკვებება ნაირგვარი პატარა ზომის ძუძუმწოვრებით, ფრინველებით, ამფიბიებითა და ხანდახან–ლეშითაც. საქართველოში მობუდარი ფრინველია.

წ

წყრომი

წყრომი პატარა ზომის ბუა. თავზე აქვს წაგრძელებული ბუმბულების ორი კონა – ე.წ. „ყურები“. ბუმბულის შეფერილობა მორუხო–მოყავისფროა, მუქი და ღია შტრიხებით მოხატული. თვალები ყვითელი აქვს. ბინადრობს ფოთლოვან და შერეულ ტყეებში, პარკებსა და ბაღებში, მცირე დასახლებულ პუნქტებთან. წყრომი ღამის ფრინველია. გამრავლების პერიოდში ხშირად მთელი ღამე ისმის მისი მონოტონური ხმა. ბუდეს იკეთებს ხის ფუღუროში, იშვიათად – კლდის ნაპრალებსა და შენობებში, ზოგჯერ – ყვავების ძველ ბუდეში. იკვებება დიდი ზომის მწერებით, იშვიათად კი – წვრილი ფრინველებითა და მღრღნელებით. წყრომი საქართველოში მობუდარი ფრინველია.

ჭ

ჭიამაია

ჭიამაია კაშკაშა შეფერილობის ხოჭოა, რომელსაც ფრენა შეუძლია. მისი კვერცხის ფორმის სხეული ნარინჯისფერ-წითლად არის შეფერილი. თითოეულ ფრთაზე აქვს სამ-სამი შავი ხალი, ერთი კი – ფრთების გასაყარზე. ამგვარად, სულ სხეულზე შვიდი ხალი აქვს. ასეთი კაშკაშა, გამაფრთხილებელი შეფერილობა მტრისაგან თავდაცვის კარგი საშუალებაა. ჭიამაია მტაცებელი მწერია. იკვებება ბუგრებით, ცრუფარიანებითა და სხვა მწერებით. ბუგრები და ცრუფარიანები მცენარეთა მავნებლებს წარმოადგენენ და ამიტომ ჭიამაის მათთან საბრძოლველად იყენებენ. აქტიური პერიოდი აქვს გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ზამთარში კი ფოთლების ქვეშ იმალება. ცოცხლობს ერთი, ან ორი წელიწადი. მრავლდება კვერცხით. დედალი ჭიამაია დებს 250-დან 500-მდე კვერცხს, რომლებსაც აქეთ-იქით ფანტავს. ასეთი ქცევით, მეცნიერების აზრით, ჭიამაია ცდილობს, გაავრცელოს თავისი შთამომავლობა და ასევე გაზარდოს მათი გადარჩენის შანსი.



ხ

ხვლიკი

ხვლიკი ქვეწარმავალია. საქართველოში ხვლიკის ბევრი სახეობაა გავრცელებული. მარდი ხვლიკი ერთ-ერთი მათგანია. სხეული ღია ყავისფერი აქვს, მაგრამ შეწყვილებისას მამრი ფერს იცვლის და ბაცი ყავისფრიდან ხასხასა მწვანე ხდება.

მარდი ხვლიკი, ისევე, როგორც სხვა ქვეწარმავლები, ცივსისხლიანი ცხოველია, ეს ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია, შეინარჩუნოს საკუთარი სხეულის ტემპერატურა. მისი სხეულის ტემპერატურა მუდმივად დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე. ამიტომ ზამთარში მარდი ხვლიკი იმალება სოროში და იძინებს, გარეთ მხოლოდ გაზაფხულზე დათბობასთან ერთად გამოდის. უყვარს მზის აბაზანების მიღება. ბალახით დაფარულ მინდვრებში ან ნანგრევებში ხშირად შეამჩნევთ მას, ქვაზე გაწოლილს მზის გულზე. მზე ათბობს მის სხეულს და აძლევს ენერგიას, რომ ინადიროს და საკვები მოიპოვოს. მარდი ხვლიკი იკვებება მწერებით, კალიებითა და ობობებით.

მარდ ხვლიკს, ისევე, როგორც სხვა ხვლიკებს, კიდევ ერთი საინტერესო თვისება აქვს – თუ რომელიმე მტაცებელი კუდში ჩაავლებს პირს, ხვლიკი იძრობს კუდს, თვითონ კი გარბის.

მარდი ხვლიკი საქართველოში ყველგანაა გავრცელებული, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს გარდა.

ჯ

ჯოჯო

ჯოჯო, ანუ კავკასიური აგამა, ქვეწარმავალია. მამრი ჯოჯოს ზეთისხილისფერი სხეული ზურგის მხარეზე შავი კანტით შემოსაზღვრული ყვითელი ლაქებით არის დაფარული, კუდზე ყვითელი ზოლები აქვს. ჯოჯო დღის ცხოველია. ბინადრობს მთის კლდოვან ნაწილებში, ადამიანის საცხოვრებელ ადგილებში ქვის კედელზე ან მიტოვებულ შენობებში. იკვებება, ძირითადად, მცენარეულობით. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს კლდოვან ჰაბიტატებსა და მდინარე ივრის პლატოზე. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.

3

ჰევისტონის ხავერდულა

ჰევისტონის ხავერდულა, იგივე შავტუხა, საშუალო ზომის მოყავისფრო-მოწითალო პეპელაა, ფრთების ხავერდოვანი ზედაპირითა და ფრთებზე თეთრი "თვალებით". დღის პეპელაა და მხოლოდ მზიან ამინდში დაფრინავს. მისი მუქი ფრთები კარგად შთანთქავენ სითბოს, რომელიც ძალიან სჭირდებათ მთის მკაცრ პირობებში. კავკასიის ენდემია. უპირატესობას ანიჭებს წიწვოვან ტყეებს. გავრცელებულია სამხრეთ კავკასიონის მთებსა და წიწვოვან ტყეებში – აჭარის მთებში, ბორჯომის ხეობასა და სამცხე-ჯავახეთში.
ჰევისტონის ხავერდულა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.